



Georgia Employment and Infrastructure Initiative  
საზოგადოებრივი და ინფრასტრუქტურის ინიციატივა

# თქმის

# ძღწევები

## GEII მუნიციპალიტეტების სასწავლო ტური პოლონეთში



USAID-ის დაფინანსებით CHF-ის საქართველოს დასაქმებისა და ინფრასტრუქტურის ინიციატივამ (GEII), ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსთან ერთად შეერჩია მუნიციპალიტეტის კვალიფიციური თანამშრომლები, რომლებიც მიიღებდნენ მონაწილეობას სასწავლო ტურში სამხრეთ პოლონეთში.

2-5 ოქტომბერს ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური დახმარებით, ქართველების ათკაციანი ჯგუფი გამოცდილების გაზიარების მიზნით დაესწრო სემინარს ტარნოვში, GEII-ის მიერ მხარდაჭერით ხუთი მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეები გაეცნენ ელექტრონული ადმინისტრირების, დოკუმენტების ელექტრონული მართვის, საჯარო მოსამსახურებისთვის ფუნქციური ვებ-გვერდების შექმნის მნიშვნელობას. პროექტის მიზანი იყო უზრუნველყო ინფორმაციის თანამედროვე საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით საზოგადოებისთვის მინოდება. პოლონურ ასოციაცია “ინტერნეტ ქალაქებთან” პარტნიორობით, პოლონეთის ქალაქ ტარნოვში ჩატარდა ინტერნეტ-გამჭირვალობის სასწავლო ტური, რომლის მიზანი იყო საქართველოს მუნიციპალიტეტებში ინტერნეტ გამჭვირვალობისა და ევროკავშირში არსებული ინფორმაციისა და კომუნიკაციური ტექნოლოგიების მსგავსი სისტემის შექმნა.

USAID-ის დაფინანსებით CHF-ის საქართველოს დასაქმებისა და ინფრასტრუქტურის ინიციატივამ (GEII), ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსთან ერთად შეერჩია მუნიციპალიტეტის კვალიფიციური თანამშრომლები, რომლებიც მიიღებდნენ მონაწილეობას სასწავლო ტურში სამხრეთ პოლონეთში. 4 დღის განმავლობაში “ინტერნეტ ქალაქებმა” მონაწილეებს გააცნეს ინტერნეტ-ადმინისტრირება/მომსახურება. განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორც არის დოკუმენტების ელექტრონული დამუშავება, ინტერნეტ-ადმინისტრირება და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, სკოლებისა და ბიბლიოთეკების ინტერნეტის გამოყენების გამოცდილებაზე დაყრდნობით. ასევე პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო GPRS სისტემა და ინტერნეტით მომსახურება, რომელსაც უკვე იყენებენ პოლონეთის მთიან კურორტ ზაკოპანეში.

4 ოქტომბერს საქართველოს დელეგაციისა და მასპინძელი ორგანიზაციის მიერ მოწყობილ შეხვედრაზე განიხილეს ინტერნეტ-მომსახურების თვალსაზრისით საქართველოს რეგიონებში არსებული მდგომარეობა და სამომავლო გეგმები. შეიმუშავეს იდეები საქართველოში ჩასატარებელი ღონისძიებებისა და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გზების შესახებ. ქართული დელეგაცია, როგორც საინიციატივო ჯგუფი, 15 ოქტომბრამდე მუშაობდა საქმიანობათა პაკეტზე. უფრო მეტიც, პოლონურ პარტნიორებთან ერთად NALA და Civitas Georgica, CHF-ის დახმარებით, განაგრძობენ მუშაობას პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს შექმნას ძლიერი ინტერნეტ-მართვისა და ინტერნეტ-გამჭირვალობის სისტემა საქართველოში.



ინტერნეტ-ხელმძღვანელობის ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პრაქტიკა გაზიარებული იყო ჩვენს მუნიციპალიტეტებთან იმდენად სწრაფად, რამდენადაც შესაძლებელია.

ინტერნეტ-ხელმძღვანელობის პრაქტიკის დამკვიდრება ხელს შეუწყობს

[www.chf.ge](http://www.chf.ge)  
[www.chfinternational.org](http://www.chfinternational.org)



მენეჯმენტის ოპტიმიზაციას და საგრძნობლად შეამცირებს ტექნიკურ სამუშაოს, ასევე გააღრმავებს საზოგადოების ჩართულობასა და გამჭვირვალებას. მუნიციპალური ვებ-გვერდები შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს რომ გამოიყენოს ელექტრონული საშუალებები. ამისათვის არ არის აუცილებელი კომპიუტერები, რადგან იგივეს გაკეთება შესაძლებელია მობილური ტელეფონებით და, რამდენადაც, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს აქვს მობილური, ნათელია, რომ შესაძლებლობების საზღვრები კიდევ უფრო ფართოვდება

თუმცა, სიძნელები მაინც არის და მუნიციპალიტეტებს არ შეუძლიათ მათი დაძლევა შესაბამისი დახმარების გარეშე. ეს სიძნელები მოიცავს არასაკმარის ფინანსების, ასევე კვალიფიციური მომუშავეების და აუცილებელი კანონმდებლობის სიმცირეს.

ჩვენ, საქართველოს დელეგაციის წევრები, რომლებიც ვიყავით პოლონეთში ღია საზოგადოება საქართველოს დაფუძნების დაფინანსებით, შევიმუშავეთ რიგი შემოთავაზებებისა ინტერნეტ-ადმინისტრირების კუთხით. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება დიდი და მრავალმხრივი პროექტის ნაწილი, რომელიც შესრულდება ევროკავშირის წამყვანი ორგანიზაციების დაფინანსებით და ადგილობრივი ორგანიზაციების (NALA, Civitas Georgica) აქტიური მუშაობით ან მსგავსი გამოცდილების მქონე უცხოური ორგანიზაციების დახმარებით. სპეციალური პროექტების განხორციელებით ეს პროგრამა განავითარებს ინტერნეტ-ადმინისტრირებას ჩვენს მუნიციპალიტეტებში.